საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2012 წლის 10 მაისის
დადგენილება № 663

2011-2012 სასწავლო წლის მარტის, აპრილის,
მაისის, ივნისისა და ივლისის თვეებში სტუ-ს
ბაკალავრიატის წარჩინებული სტუდენტებისათვის
პრეზიდენტის სტიპენდიანტთა შერჩევის წესის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 20 აპრილის №427 ბრძანებით სტუ-ს ბაკალავრიატის წარჩინებული სტუდენტებისთვის 2012 წლის მარტის, აპრილის,მაისის,ივნისის და ივლისის თვეებისათვის გამოყოფილი პრეზიდენტის 259 სტიპენდია ფაკულტეტების მიხედვით ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებზე, პირველ რიგში, განაწილდეს პრიორიტეტული სპეციალობების მიხედვით (ყველა საინჟინრო სპეციალობა, აგრეთვე ტურიზმი და ეკონომიკა);
2. პრეზიდენტის სტიპენდია დაინიშნოს 2011-2012 სასწავლო წლის შემოდგომის სესიების შედეგების მიხედვით;
3. პრეზიდენტის სტიპენდიანტთა შერჩევის კრიტერიუმების შესამუშავებლად და პრეზიდენტის სტიპენდიანტთა შესარჩევად, ფაკულტეტებზე, დეკანების ბრძანებით, შეიქმნას საკონკურსო კომისიები, რომლებიც იხელმძღვანელებენ შემდეგით:

   - პრეზიდენტის სტიპენდია დაენიშნება ბაკალავრიატის სწავლების I, II, III და IV წლის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის (გარდა ტურიზმისა და ეკონომიკის სპეციალობისა) 40 და სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაციისა და ტრანსპორტის მენეჯმენტის სპეციალობის 9 წარჩინებულ სტუდენტს, რომელთა აკადემიური მოსწრებაა 91% და მეტი რანჟირებული სიების მიხედვით;

   - პრეზიდენტის სტიპენდია დაენიშნება ბაკალავრიატის სწავლების I, II, III და IV წლის სამშენებლო, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის, სამთო-გეოლოგიური,

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის (გარდა ბიზნეს-ორგანიზაციისა და ტრანსპორტის მენეჯმენტის სპეციალობებისა), არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტების ყველა სპეციალობის და ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ტურიზმისა და ეკონომიკის სპეციალობის იმ წარჩინებულ სტუდენტებს, რომელთა აკადემიური მოსწრებაა 91% და მეტი ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის შესაბამისი რანჟირებული სიების მიხედვით შემდეგი ოდენობით:

- სამშენებლო ფაკულტეტი – 20 სტიპენდია;
- ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი – 34 სტიპენდია;
- სამთო- გეოლოგიური ფაკულტეტი – 13 სტიპენდია;
- ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი – 22 სტიპენდია;
- სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი – 17 სტიპენდია;
- არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი – 10 სტიპენდია;
- ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი – 11 სტიპენდია;
- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი – 83 სტიპენდია.

- პრეზიდენტის სტიპენდიის დანიშვნისას, ფაკულტეტებზე თანაბარი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იქნეს სტუდენტის მონაწილეობა სტუდენტურ კონფერენციებში და სხვა აქტივობები; ასეთ შემთხვევებში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;

4. ფაკულტეტის საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე გამოიცეს რექტორის ბრძანება პრეზიდენტის სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე